www.idfi.ge

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

MINISTRY OF CORRECTIONS OF GEORGIA

MCLA 5 14 00312333

04/07/2014

ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“
გამგეობის თავმჯდომარეს,
ბატონ ლევან ავალიშვილს

მისამართი: ა. გრიბოედოვის ქუჩა №3

ასლი: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის
სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს

ბატონო ლევან,

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2014 წლის 4 ივნისის №OPD/CPT14-055 ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც ითხოვდით სასჯელაღსრულების დეპარტამენტში საჯარო ინფორმაციის სახით დაცული მონაცემების გაცემას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ:

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ წარმოდგენილი საჩივრისა და შესაბამისი მასალების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ადმინისტრაციული საჩივრით მოთხოვნილი ინფორმაციის მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემებიდან უნდა გაიცეს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას და ამასთან, არ შეიცავს სხვის პერსონალურ მონაცემებს (გარდა თანამდებობის პირებისა).

რაც შეეხება შესყიდვებთან დაკავშირებულ მე-8, მე-9 პუნქტებით მოთხოვნილ მონაცემებს, აღნიშნული უნდა გაიცეს თუ იგი არ არის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია. ხოლო, საჩივრით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია უნდა გაიცეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

0186, ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №3
3 Sandro Euli Str., Tbilisi, 0186, Georgia, www.moc.gov.ge
ტელ./Tel.: (+995 32) 2312734, ფაქსი/Fax: (+995 32) 2311901

www.idfi.ge

დაევალოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სასჯელაღსრულების დეპარტამენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცეს საჯარო ინფორმაცია წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ გაცნობიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

პატივისცემით,

გრიგოლ გიორგაძე
მინისტრის პირველი მოადგილე